ბათუმის საქალაქო სასამართლო ნათია კაპანაძის სარჩელის განხილვას დაუსაბუთებლად აჭიანურე

დღეს 2 წელი გავიდა, რაც სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ყოფილმა დირექტორმა, ნათია კაპანაძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2019 წელს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ ნათია კაპანაძეს უნდობლობა გამოუცხადა და დაკავებული პოზიციიდან გადააყენა. უნდობლობის გამოცხადებამ გააჩინა განცდა, რომ მიღებული სადავო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არა სამართლებრივ არგუმენტებს, არამედ ნაკარნახევი იყო ხელისუფლების ინტერესით, შეეცვალა მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა. მაუწყებელში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა ეს ეჭვები დაადასტურა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 30 აპრილს წარდგენილი სარჩელით, ნათია კაპანაძე ითხოვს უნდობლობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თანამდებობაზე აღდგენას, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებასა და

დირექტორის პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის ბათილად ცნობას. სარჩელში დასაბუთებულია, რომ:

- მრჩეველთა საბჭომ დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო პროცესუალური ნომრების დარღვევით.

- გადაწყვეტილების მიღებისას მრჩეველთა საბჭოს არ ჰქონდა შესწავლილი არც ერთი საკითხი, რომლის საფუძველზეც კენჭი ეყარა უნდობლობის გამოცხადებას.

- მრჩეველთა საბჭოს 2017 და 2018 წლების ანგარიშებში არ არის მითითებული, რომ ორგანიზაციის დირექტორს ან თავად ორგანიზაციას რაიმე პრობლემა აქვს. ასევე, 2017 და 2018 წლების გარე აუდიტის შედეგების თანახმად, ორგანიზაციას ფინანსური პრობლემები არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის წარდგენიდან 2 წელი გავიდა, საქმეზე დღემდე არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა. ამასთან, წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოს დღემდე წერილობით არ უცნობებია, რა გახდა საქმის განხილვის გაჭიანურების საფუძველი. სატელეფონო საუბრისას მიღებული განმარტებით, საქმის გაჭიანურება ,,ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ“ განაპირობა.

საია მიიჩნევს, რომ ნათია კაპანაძის საქმის განხილვა ხელოვნურად ჭიანურდება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოუწოდებს, ამ საქმეზე გადაწყვეტილება უმოკლეს ვადებში მიიღოს.